- ისინი, ვინც ქართველი ბიჭების თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ - ბასაევი, რაღუევი და მისთანები. გმისახურდიას მომხსენევები არ მიგულისხმია, ბატონი... მაზინ ბალტინმა მითხრა, შევარდნაძეს უთხარი, კრაგულუქთან დარეკოს, რომ უკრანენლებმა არ იყვორინო. ინკიამ დააგავშირა კრაგულუქთან... შევარდნაძეს რომ ვუთხარი, 9 კრეისერი შემოვა ფოთში-მეთქი, არ დამიჯერა - მეტი არ მოგივიდგისო, - გამტეუმრა. მალთაყაში შევახვდორე ერთმანეთს შევარდნაძე და ბალტინი. ახლა ვხვდები, მისი შემოსვლა არ უნდოდ შევარდნაძეს და, აღათ, სიმწრისგან დალია მაშინ სუფრაზე 300 გრამი არაყი. ბალტინი ზეოდთან საბრძოლველად არ ჩამოსულა, მას სამეცნიეროში ისე შეხვდნენ, როგორც სამოქალაქო ომის



გვილავს გავიცხოთ!

ჩამქრობს და აფხაზეთის დამბრუ-
ნებელის. ახლა ვწევდი, შევარღნა-
ძეს არ უნდოდა აფხაზეთის დაბ-
რუნება. პირიქით, მას დაგალებუ-
ლიც პქონდა იქ სიტუაციის არე-
ვა. ამ სქემაში ჯდებოდა ჩეჩენეთ-
ში არუელობის დაწყებაც, - რისი
საბოლოო შედეგი ის იქნებოდა,
რომ ნავთობსადენა ნოვოროსიის-
კამდე არ უნდა მისულიყო. ელ-
ცინმა გააფრთხილა კიდევ, აფხა-
ზეთში არ აურიო ვთარება, თო-
რებ ვერ გიშველიო, მაგრამ ზეს-
ტად ეს გააკეთა შევარღნაძე -
მან დიდი მაგნატების გეგმა განა-
ხორციელა. ამას ისტორია გას-
ცემს პასუხს.

- როგორც ამბობენ, ოქებ ზვიად
გამსახურდიას მიმოსვლაზე ზუს-
ტი ინფორმაციები გქონდათ...

- ტყუილია, შვილებს გეფიცებით.

- ისიც თოქვა, - მარგიანი გამ-
სახურდიას გარემოცვიდან იღებ-
და ინფორმაციას.

- ასე რომ ყოფილიყო, რად მიხდა დამალვა, რისი მეშინია, გეტ-ყოდით. მარგველანი მამაჩემის მამიძიაშვილის ქმარია, პატიოსანი და სანდო კაცი. რობიზონის პირით (1993 წლის თებერვალში) შეუკუთვალე ზგიადს, ოჯახი სკანდალში გადმოიყვანეს, ჩემს ოჯახში იცხოვრეთ-მეთქ., მავრამ ვიღაცო დაუშალა. ორჯერ ვუთხარი რობიზონს - ზგიადი გროვზნოშია, შენ ზუგდიდში რას აკეთებ, ოჯახს მოხედე-მეთქ. იუარა - ფიცი მაქსი მიცემული... აღარ ჩაციიბივარ, ვიცოდი, რობიზონ მარგველანი დადებულ ფიცს არ გატეხდა. მისი გვარის სახლში თამარ მეფის დროიდან ერთგულებით არის ცნობილი. ტექულად კი არ აუყვანია ზგიადს დაუავს უთოროსად...

ვიცი, რომ ზვიადი სიცოცხლის
ბოლო 10 დღის განმავლობაში

ძალიან ცუდად იყო, კველისგან მოტკოვებული ძალზე შეძრწუნებული ყოფილა, მაგრამ არ იმჩნევდა. 99%-ით დარწმუნებული ვარ, რომ მან თავი მოკლა და მას ეს შიშის გამო არ გაუკეთებდა - ვაითუ, დააპატიმრონ. კაცმა ამხელა საქმე გააკეთა, ეროვნული მოძრაობის ბელადი იყო და კველად უდალატა, - ამან ატკინა გული. ზვა-ადმა თვითმკლელობით თავი დაისაჯა, ასეთი უღირსი ხალხი როგორ შემოვიყრიბერ.


შესაძლოა, რაღაც კაგუფები მართლაც დასდევლნენ სამეცნიელოში პრეზიდენტს (მაშინ უკვე აღარ ვიყვავ ვიცე-პრეზიდენტი, გარდაბანში გადამიყანეს), მაგრამ ვიცი, რომ ეს არ მოხდებოდა იგორ გიორგაძის მითითებით. გიორგაძე გამსახურდიას მხარეს იყო. ერთხელ სენაკში ვატარებდი თათბირს, თავს ელიავას ჯაგუფი დაგვესხა. იგორს იქ სპეცრაზმი ჰყავდა, მაგრამ არ დაუპირისპირდა ელიავას. რამდენიმე წლის შემდეგ შევარდნამებ გამახსენა ეს ამბავი, - იგორს დააკირდი, სენაკში მაგან გვიღიალატაო. მასხავს, დმანისის პრეზექტო დაიჭირეს - გირგვლინი. რა უნდათ ზეადის მომხრებისგანი, არც ეს მოეწონა გიორგაძეს. როდესაც ამბობენ, ზვიადი ვიღაცებ მოკლაო, უპირველესად იმ ოჯახს აყენებენ შეურაცხოფას, სადაც პრეზიდენტი დაიღუა. თქვეს, იძღვნად პატიოსანი ხალხია, უსინდისობაა მათში ეჭვის შეტანაო. ცოდვაა ხელადებით ასეთი რამის თქმა. მათ გაჭირვების დროს პრეზიდენტს უერთიგულეს, თავი საფრთხეში ჩაიგდეს და არ შეიძლება ამის გამეტებელს ყველაფერი წყალში ჩაუყარო.

ბევრი რამის შეცვლა შექმდლ
და შესაძლოა, ასე ტრაგიკულა-
დაც არ დაესრულებინა სიცოც-
ხლე პრეზიდენტს.

პრეზიდენტის გარდაცვალების
თომა განგიბ აქციეს სასპექულა-
ციონდ. ამიტომაც არ ჩატარდა ექ-
სპერტიზა და გამომიება. მაშინ
ვინ წარმოიდგენდა, რომ სხვანაი-
რად დაატრიალებდნენ ფირფიტას
და იქმონენ, - პრეზიდენტი მოკ-
ლესო. გამსახურდიას მოკვლა
მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძ-

ლებოდა, თუ მის დაცვას, ბესარიონ გუგუშვილსა და ლურწყაიების ოჯახის წევრებს გათიშავდნენ. ხუთი კაცის გათიშვა, როდესაც ისინი ერთ ოთახში არ არიან, მნელია. მისი დაცვის წევრებისგან დალატი ვერ წარმომიდგენია. რის საფუძულოად უნდა გაემტებინათ ზვადი, ისინი რაქში გარეული რომ ყოფილიყვნენ, ვინ დაბოლოვდა ცოცხალი? ზოგიერთი სულელურ ჭორს ავრცელებს შევარდნაძის დავალებით, მარგიანმა მარგველანს დაავალა ზვად გამსახურდიას ლიკვიდაცია. ასე რომ ყოფილიყო, ჩემი ფერფლიც აღარ იქნებოდა დღეს. იმას როგორ გამიზიდავად შევარდნაძე, ზვადი მოკალიო, როდესაც მათ შესარიგებლად დავდოდი. ვერც გაბედავდა და არც მენტობოდა მაგდენად. ყველაფერი შეიძლება დააპრალო შევარდნაძეს, მაგრამ ზვადის მოკვლა ვინმეს დაავალოთ, ამის თქმა სისულელება. ისეთი კაცი არ არის, ამზელა ტვირთი აელოთავის თავზე, თან არც სჭირდებოდა ტყეში გასული კაცის სიკვდილი. ზვადის სიკვდილზე დაპარაკი იმ სპეცუალურებს სჭირდებათ, რომლებიც მის სახელს არიან და კოდტორი და თვალობის

କୁଳର ଦା ତଥିଲା
ବାଧଗେନ୍ଦ୍ରନ...
୦୪୩ ରିପାର୍



**გვესაუბრება:
ავთანდილ მარგიანი**



መመሪያ በኋይና የጤን

ተኋላለሁ

ገዢ



ჩვენი სტუმარია: ბუბა კიკაბიძე



კინემატოგრაფის 100 წლისთავთან დაკავშირებით მსოფლიოში აქმდე არსებულ ფილმთაგან ასი საცეკვებსო შეკრიბა. მათ შორის ერთ-ერთი არის გია დანელიას „არ იდარღო“.

ფილმი 1969 წელს გადაიღო „მოსფილმში“ გია დანელიამ. სცენარის ავტორი (გადმომქართულებული) რეზო გაბრიაძე, ოპერატორი ვადიდ იუსოვი და ყველა მსახიობი, ვინც ფილმშია დაკავებული, თავიათი საქმის დაღისტატებით არიან. რადენჯერაც უნდა ნახო, იმდენჯერ ცრუმლითა და სიცილით შეზევებული გრძნობა გეუფლება. ფილმში მუშაობის პერიოდის გახსენება ვთხოვეთ ძენამენის როლის შემსრულებელს ვახტაგან კიკაბიძეს:

სერგო ზაქარიაძე რომ დავინახე, მუხლები სმინქსალდა

- გია დანელიას ბევრი მსახიობი პყოლია გასინჯული ბენუამენის როლზე. ბენუამენ ღლონტი სცენარის მიხედვით წითური, მსუქანი, ღაედაუა, მსმელი კაცი იყო. ამტომ მხელი წარმოსადენია, გამხდრი და შავგვრემნი კაცი როგორ შეიძლება აერჩიათ ამ როლისთვის. როგორც ვიცი, ღეიდამისს, ვერიკო ანჯაფარიძეს ურჩევია, ბუბა კიკაბიძე გასინჯოსო. მოსკოვიდან რომ დამირენეს, ღიადად არ აღვერთოვანებულვარ. გია დანელიას გვარი რომ მიხსენეს, მიგხვდი - „სერიოუს“, „ოცდაცამეტის“ რეჟისორზე იყო ლაპარაკი. მითხრეს, მოსკოვიდან ჩამოვაკვავუო, თქვენი ნახვა უნდათო, თუმცა რეჟისორი თავიდანვე ჩემს წინააღმდეგ ყოფილა განწყობილი (უკვე 30 წელიწადზე მეტია, მეღდა გია გმეობრიბით და კარგად ვიცი, არ უყვარს, როცა უუბნებიან, ეს ან ის კაცი აიყვანეო). გადამდები ჯგუფის წევრები ჩამოვაკვანებ და სასტუმრო „საქართველოში“ დაბინავდნენ. დილით ადრე მივედი - ერთი გამხდარი ბიჭი ვყავი, გახენილი ჯინსები მეცვა. სასტუმროში უსიმბათო კაცი დამხვდა... ეტყობა, ბოტკინი პეტრი და გადატანილი და სახეზე ყვითელი ფერი ეღო (ახლა ავტობიოგრაფიულ წიგნს ვწერ, იქ ერთი თავი გიას ეხება... მასზე ასეთ ფრაზას ვწერ: „მყავას ჯელით ასეთი უსიმბათო ბოტკინი, სახლს სიმინდაში და არ იღიმებოდა. მითხრა, აბა, დაიყვირეო. სასტუმროში ვიყავით, ადრიანი დილი იყო, უკარია - როგორ დავიყვირო, ხალხს სიმინდაში... რაღაცები მელაპარაკა, ვერავრი გავიგო. შეაწყვეტინები, დრო არ მაქვს-მეტი. ავდექი და წამოვედი. თუ დაგვჭირდებით, გაგაებინებთო. გავდა სამი დღე, ისევ დამირეება... გია დამელაპარაკა, წამოყევი, სტუმრად მივდივარო. აქეთ-იქით თრევა რომ დამიწყო, მერე მივხვდი, მაგისი სინჯები ვეიფი. ერთი თვე მატარა აქეთ-იქით. ბოლოს ვუთხარი - გასტროლებზე წასვლას ვაპირებ, თუ რამე გინდათ, მითხარით, მოგწონვართ თუ არა-მეტები...“

ერთი სიტყვით, დაინიშნა გადაღბა, ნაშნობის სცენა უნდა გადავგელო.

სერგო ზაქარიაძე რომ დავინახე, მუხლები ამიკნებალდა, ქუჩაში რომ დავინახავდი, ისე ვაჟურებდი, როგორც ღმერთკაცს. გადავიღეთ კადრები, დამიძახა სერგომ (ესტრადიდი მიცნობდა უკვე), რა ბენიერი ხარ, იცი, ბუბა, კამრას ვერ გრძნობ. მე კი როგორც ჩართავენ, ვღელავო. სულ უკამფოვლო იყო, ყველა დუბლის თავიდან

გადაღებას ითხოვდა. არადა მის თამაშს გადაკეთება არ სჭირდებოდა.

გადაღების შემდეგ თურქეთში წავედი. „ორერას“ კონცერტები დიდი წარმატებით მიღიოდა. უცებ მოვიდა დეპეშა - სასწრავოდ გამოცხადით საბჭოთა კავშირის საელჩოში, სტამბოლშით. შევმინდი, რამე ხომ არ მოხდა-მეტქი. იქ დეპეშა დამხვდა... „მოსკოვიდის“ დირექტორი პოზნერი (ჟურნალისტი ვლადიმირ პოზნერის მამა) მწერდა - გილოცავთ, „არ იდარღოში“ მთავარ როლზე დამტკიცებასო.

- როცა სცენარის გაეცანით, მოგეწონა?

- სცენარი რომ წაგითხე, ვთქვი, ამ როლს ვერ ვითამაშებ-მეტქი. ბენუამენი ჩემს ხასიათს არ ესადაღებოდა. ამიტომ გიამ მთელი სცენარი გადაკეთა. გადაღებებისას იმპროვიზაციის საშუალებას გვაძლევდა. გია დანელია იყო ერთადერთი რეჟისორი, გისთანაც როლი არ მისწავლია ზეპირად. მთელი ფილმი თამაშ-თამაშით გადავიღოთ.

- „არ იდარღოში“ ყველა მსანიობი ბრწყინვას, ეპიზოდური როლების შემსრულებლებიც შესანიშნავდ თამაშობებ...“

- გიას კარგი ალლო აქეს მსანიობის არჩევაში, ამასთან, მისი იუმორი სულ სხვაა, შეიძლება ერთი სიტყვა მოისმინო მის ფილმში და დიდხანს იცინო... გახსოვთ, როგორ იწყება ფილმი? ვირი რომ მოკყავს კაცს და მეუბნება, შენზე კარგი ვინ დაჯდებაო ამაზე - ძია საშა კუპრაშვილი უკვე აღარ არის ციცასლი. არადა, რა აღამანი იყო, როგორი მსახიობი! გადასაღებ მოკდანზე 2-3 საათით ადრე მოდიოდა სერგო ზაქარიაძე, იმ ადგილას ტრიალებდა. მხელი იყო სერგო ზაქარიაძესთან მუშაობა, თეატრის მსახიობი იყო და „სხვანაად“ თამაშობდა.

ვმეგობრობდი ბატონ კოტე დაუშვილთანაც. უბრალო კაცი იყო ცხოვრებაში. ვინც უყვარდა, ყველას მამუკას ემახდა. სხვანაარი კაცი იყო, ტრადიციული ქართველი. გახსოვთ გამოსახოვარი ქეიფი? კიტრის ბოტკინი და არიადნა შენგელაია ეფერება. მე ტახტის ქვეშ დავწერები „შპარგალკი“, იქიდან კარნახობდი. ერთხელ ახალი ჩამოსული ვიყავი მოგზაურიბიდან, ხელზე „სეიკოს“ საათი მეკუთა. დოლომ დაინახა, მაჩვენეო, მითხრა - ზოგი ფულს აგროვებს, მე საათებს ვაგროვებო. შენი იყოს-ძეტქი, ვუთხარი, გული კი გამისკდა. აუტყდა სიცილი და დამიბრუნა. სხვანაარი კაცი იყო.

პირდაპირ მხარეს ტაქსი გაჩერდა, გადმოვიდა იპოლიტე, უნდა გზა გადმოჭრას, მაგრამ მანქანები ისე მოძრაობები, ვერ ახერხებს. გავვარდი შუა ტრასაზე და ხელების ქნევით გავაჩერე მოძრაობა. დაუკახე, მობრძანდი, ბატონი იპოლიტე-მეტქი... გაიცინა, ბუბა, შენ გარდა ვერავინ მცნობასო. როგორ ვერ ცნობდნენ, მანქანებიდან სულ მოღიმარი სახეები ჩანდა, ყველა მას უყურებდა.

ჩემი ახლო მეგობარი იყო აბე-სალომ ლორიაც... გახსოვთ მისი ცეკვა? აღარც აბესალომია ცოცხალი, აღარც ძია სერგო, არც ძია კოტე, არც უენია ლეონოვი, ბევრი აღარ არის... ქელების სცენას რომ ვიღებდით, სერგომ ისე კარგად ითამაშა, ავტირდი. კიდევ კარგი, კადრში არ ვიყავი.

გახსოვს, ავტოზე სასეირნოდ რომ ეპატიუება მერაბ კოკიჩაშვილი გოგონას და მერე დავლურით რომ გადის თოახიდან? მაგარია! ყველაფერი ზედმიწევნით კარგია.

სესილია თაყაიშვილი ჩემი კარგი მეგობარი იყო. ყოვლთვის, როცა რაღაცას მივიღებდი (ან ჯილდოს, ან პრემიას), პირველი დეპეშა მისგან მომდიოდა. ჩემი დოლო აბაშიძე... ასეთი ნიჭიერი კაცი იშვიათია. კინოგადაღების დროს ერთხელ ტექსტი არ იციდა. აი, იმ ეპიზოდში, ვითომ ყელში ძვალი რომ აქეს გაჩერილი და არიადნა შენგელაია ეფერება. მე ტახტის ქვეშ დავწერები „შპარგალკი“, იქიდან კარნახობდი. ერთხელ ახალი ჩამოსული ვიყავი მოგზაურიბიდან, ხელზე „სეიკოს“ საათი მეკუთა. დოლომ დაინახი, მოვის-ძეტქი, ვული კი გამისკდა. აუტყდა სიცილი და დამიბრუნა. სხვანაარი კაცი იყო.

- ვახნი ღვეონივი როგორ დაგამასოვრდათ?

- მაშინ ყველას ეგონა, რომ უენია ლეონოვი ლორი - ზოგი ფულს აგროვებს, მე საათებს ვაგროვებო. შენი იყოს-ძეტქი, ვული კი გამისკდა. აუტყდა სიცილი და დამიბრუნა. მოვისენი, მივეცი. დაზედა და მითხრა - ზოგი ფულს აგროვებს, მე საათებს ვაგროვებო. შენი იყოს-ძეტქი, ვული კი გამისკდა. აუტყდა სიცილი და დამიბრუნა. სხვანაარი კაცი იყო.

- ფურუზზიკ მკრტიჩიანის პატარა ეპიზოდი „არ იდარღოში“ ყველას ახსევს... თუ ცონდობით მას ამ ფილმის გადაღებამდე?

- არა, იმ პატარა ეპიზოდის გადასაღებად რომ ჩამოიყვანეს, მაშინ გავიცანი. დიდი მსახიობი იყო... ციხის ეპიზოდს მცხეთაში, სვეტიცხოველში ვიღებდით. გახსოვთ, რომ მეკითხება: ხოცეა კანქეთიკ მამ-ო... ვიდრე გადაღება დაიწყებით, ტაბარის ვათვალიერებინებდი... უცებ მეუბნება - ხედავ, ეს

ტაბარიც სომხებს აუშენებდათო! გაგვიყდი, რა ააშენეს სომხებმა-მეთქი?! შეხედე, დამწერლობაც სომხურია, აბა, რაო, - მიმითითა ასომთავრულზე და მხედრულზე. არა-მეთქი, - გავაპროტესტე. შევ- ხედე - იცინოდა. გულში ჩაძრჩა, რომ ამაგდო, და დავიმახსოვრე... „მიმინოს“ გადაღებდისას, სასტუმ- რო „როსიაში“ ჩემ ქვემოთ ცხოვ- რობდა მკრტიჩიანი. მაღვიძეარა დი- ლის 4 სათზე დავაყენე. გამაღ- ვიძა. ვეცი ტელეფონს, დავურეკე მკრტიჩიანს, შევმინდა, უფიქრია, შინ რაღაც ხომ არ მოხდა ცუდი და ხომ არ მაგბინებენო. მე კი ვე- უბნები, ბოლიში, გაწუხებ, მაგრამ ისეთი რამ მოვისმონე ამერიკის ხმაზე, რომ არ გაგახარო, არ შე-

როგო შენგელაიძ გამაფრთხილა, არ იბუუზღუნოო. არც ვაპირებდი.... „მიმინიში” ერთი კადრია - მე ყონულზე ვიქევე. ისე მონიტორებით დავვარდი, რომ ნამდვილს დამსგავსებოდა, თავი მაგრად დაეკრტყი. ვითამაშე ბოლომდე ეგ სცენა, მაგრამ... რამდენიმე წლის შემდეგ რომ ტკივილები დამტკიც დაბურდენის კლინიკაში მოვჰვდი, აკდემიკოსმა კონკვალიტება მითხრა, ეს ტრავმა იმ დარტყმის ბრალია. „არ იდარდოშიც” იყო სახიფათო სცენები. ერთი სცენა იყო (ფილმში არ შევიდა), მე და გოგი ქავთარაძე რომ დუელზე წასას-კლელად კმიტადებოდით: ზედა ოთახში ჩენენ ვლაპარაკობთ, ქვევით სოფიკოს და ბავშვებს სძი-

ასეთ. მე უნდა ფეხი დამტკრტყა, ასტუკი ჩანგრულიყო, ჩავვარდებოდი და თავზე დავეცემოდი მათ. ტრიუქების ოსტატის მოყვანა და-აპირეს. არა, მე უნდა გავაკეთო-მეთქი, დავისინე. ჩატეხილი ფი-ცარი ქვემოდან ეჭირათ, დავარ-ტყამდი ფეხს, გრწვენებ... სულ დაგლუჯილა მქონდა გვერდები.

- პრემიერის დღე გახსოვთ?

- პრემიერა მოსკოვში შედგა. დიდი ამბავი იყო. მერე კნოს სახ-ლში სუფრა გაიშალა. ერთი და-დი რეჟისორი, არ მინდა გვარი ვთქვა, მთელი ყოფილი საბჭოთა კაშშირი იცნობს, ჩემ გვერდით ჯ-და. უცნაური ხმა გავიგე. მოვი-სედე... ისე დამთვრალიყო, თავი საციფში ჩავარდნოდა და რომ არ

ამომეგლიჯა, დაიხრჩობოდა.

- სახსოვრად ხომ არ დაგ-
რჩათ რამე ფილმიდან, მაგალი-
თად, ბოთლის გასახსნელი?

- არა, ის გია დანელიასთანაა.
მაშინ ვერც გავგედავდი, მომეთ-
ხოვა სამახსოვროდ..

- ამ ფილმის გადაღებისას თქვენ თურმე სულ ანცოდდით...
- მიტომაც ცდილობდა გია,

უსაქმოდ არ დავეტოვებინე. ერთხელ დამტოვა და მაშინვე გაიშალა სუფრა. რომ ნახა ერთხელ დავოვერი, მეორედ, მიზღდა, არ შეიძლებოდა ჩემი უსაქმოდ ყოფნა და როცა გადაღება იყო, მეტყოდა, აი, ეს ფორმა ჩაიცვი, იქ გაიარგამოიარეო... მეგონა, მიღებდნენ, თურმე კადრში არც ვჩანდი.

ბარაქიანი შემოლეომა იდგა კა-
ხეთში. სოფელ ნანიანში გიორგი
ვაჩინაძისა და სოფით ანდრონიკაშ-
ვილის ოჯახს ფაეტონში მოად-
გნენ რთველში დაპატიჟებული
სტუმრები. თავბრუდამხვევ სურნელს
აფრენევდა ხარიხებზე ჩამწერივე-
ბული ახალამოვლებული ჩურჩხე-
ლები. თათარა თუხთუხებდა, ვენა-
ხიდან ყურძენს ეზიდებოდნენ, ვო-
გო-ბიჭებს აყიდოები გამოჰქონდათ
და ქართული ორნამენტით დაშვე-
ნებულ აივნის სკუტებზე კიდებდნენ.
ჭრიალებდა მარნის კარი... გაჩაღდა
ლხინი და პურობა. მოცეკავებმა
ახალგაზრდა დიასახლისი გაიპატი-
უს. სოფიომ რამდენიმე წრეს შე-
მოუარა და გასვლა დააპირა. წინ
არწივივით მხრებგამლილი ნათე-
სავი გადაედობა. ერთს მეორე ცვლი-
და, მეორეს - მესამე. სოფიო უცებ
დაუსახლტა მეწყვილეს, ბარბაცით მი-
აღწია ხალხით შეკრულ წრემდე
და ვიღაცის მქლავებში ჩასვენა...
ქალს ნაადრევი მშობიარობა დაეწ-
ყო. სამი კაცი აფრინეს ბებიაქლ-
თან. უბმაუროდ დაიბადა ფერმკრთა-
ლი, გალეული, არაქათგამოცლილი
უსიცოცხლო არსება. ატყდა წივილ-
კივილი - არიქა, მღვევლი, მოგნათ-
ლოთ მანცო. მოძღვარმა დახედა
უდღეურ ბავშვს, სიცოცხლის ნა-
ტამალი ვერ შეატყო და ხელი ჩა-
იქნა. მანც მოიკითხა ნათლია. მი-
იხედ-მოიხედს. ყველა შინაური იყო.
თავადიშვილი არავინ ერთა ისეთი,
ნათლიად მოკიდება რომ შეიძლე-
ბოდა. ცომიანი ზელებით მივარდა
გლეხის ქალი მართა - რა დროს
თავადიშვილის ძებნაა, ბავშვი სანამ
თბილია, მე მოვნათლავო. მღვევლი
მძიმედ შეუდგა ნათლობის საიდუმ-
ლოს აღსრულებას, მართა ჩილის
ცომიანი ხელი გადაუსვა შუბლზე,
ფურები მოუსრისა და... ამოიტირა
პატარამ, სიცოცხლე დაუბრუნდა, სა-
ამქეცენოდ მოიხედა და მოგარესა-
ვით გაიბადრა. იმ უსუსური სხეუ-
ლიდან თანდათან გამოიძერწა მზე-
თუნახავის ქანდაკა. 40 წელი ახა-
რებდა მაყრერბლის აულს...

კი ვასაძესა და აკაკი ხორავაზე უმ-
ცროსი იყო, მაგრამ, ხელოვნების ის-
ტორიის ფურცლებს შემორჩა, რო-
გორც მათ გვერდით მოკაფე. ტო-
ლადსადები პარტიონორები იყვნენ გა-
ორგი და მსახიობი თამარ თარ-
ხნიშვილი, მე არც ერთი სპექტაკ-
ლი არ გამოიტოვდია, სადაც ეს
ბუბერაზი ადამიანები დაუკარგარ
სახეებს ქმნიდნენ. მახსოვს, ერთ-
ერთ კონცერტზე გიორგი საღარა-
ძე სტეფანე ჯაფარიძესთან ერთად
გამოდიოდა. ახლაც უკრძალი მიღებას
იმჟამნდელი მაფურებლის ტაშის
გრალი. ახლანდელი ახლგაზრდები
მის ცხოვრებას კარგად რომ იც-

MUS

ზა ბებო. დღიდო ალექსიძეს უთ-
ქვემს: - დღეს როგორც ითამაშებ,
საბოლოოდ ისეთი შსახიობი იქნე-
ბით. აფორისტულმა დარჩიდი გულ-
ში ჩაიკლა. ისე ბრწყინვალედ უთა-
მაშია, რომ კანდიდ ჩარკვიანს თა-
ვის ღოუქაში მოუწვევია. გადაუკოც-
ნია და უთქამს: - ახლა მჯერა, რომ
ელისაბედ ჩერჭეზიშვილის ლეჩაქი
არ გახუნდება. მხცოვანი მსახიო-
ბი სცენის მიღმა ცხოვრების ამ-
ბებს უფრო ინტერესით ისხენებს.
იმას, რასაც არ თამაშიბდა, რაც მის-
თვის რეალური ცხოვრება იყო...

1942-ში მესამე კურსზე სწავ-

ლობდა. ახალშექმნილ ოჯახში სასოფთი შეცყურებდნენ რძლის ფეხმმიმობას. ომს ნებივრობა არ უყვარს, ძალაუნდურად ჩდები მისი მონაწილე. ინსტრიტუტის დირექტორმა აკაკი ხორავამ ასალგაზრდები შეერიბა და დაჭრილებისთვის კონცერტის ჩატარება დაავალა. პოსპიტალში მუდამ სხვაზე აღრე “გამოცხადდებოდა” ხოლმე, ელიოსაბედ ჩერქეზიშვილმა დაჭრილებთან წინდები და ჩირი გაატანა. ზაფხულის პაპანაქება იყო და გაუკვირდა ეკატერინეს, ახლა წინდები ვის რაში სჭირდებათ. - არა უშავს, ზამთარიც მოვა, გამოადგებათ, - და-ადევნა ბებომ. ჯერ იმ ჩირმა გამოიიწვა თურმე დიდი სისარული, დაჭრილები საწოლიადნ საწილზე აწვდიდნენ ერთმანეთს, მერე - წინდებმა. კონცერტის შემდეგ სტუდენტებს მომვლელებად ტყვებდნენ. კატერინე ერთ ახალგაზრდას მიუჩინეს. რომ მივუახლოვდი, დავინახე, თმა შუბლზე უფინგბოლა და ოჯვლს ზეწრით იქმნდდაო. შეეცოლა, ამოილო თავისი მოქარეული ცხვირსახოცი და დაჭრილს გაუწიოდა. დაჭრილმა გვარი და სადაურობა ჰყოთხა, რომ ტყვია-ოთხ კა.

მალე ოჯახში ახალი სიხარუ-
ლი შემოკიდა. დაბადა სიყრძის შვი-
ლი - გურამ გმიგმებორი. ეკატერი-
ნე ვაჩინაძემ აჭარაშიც იღვაწა დად-
ხანს, მერე ისევ რუსთაველის თე-
ოდერი



ერთხელ გასვლითი კონცერტების ჩასატარებლად ქართლსა და სამახაბლოში გაემგზავრნენ. ტეგია-ავშიც მოხვდნენ. სცენაზე ორი ბავშვი აძმოვდა, ყვავილები მიართვეს ეკატერინებს და უთხრეს: გასასვლელში ჩევნი დღდ-მძას გდლოდებათი. გავიდნენ ცოლ-ქმარი მერაპ გევგჟ-კორი და ეკატერინე. ლიმილით შემოეგება ფავარჯინიძი კაცი მუზლ-ლესთან ერთად. ეკატერინეს ის ცხვირსახოცი გაუწოდა, ათეული წლის წინ ლაზარეუთში რომ დაუტოვა დაჭრილ ჯარისკაცს...

ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ



301-3 23 30 ქართული ლოგოს არავალი

ՀՀ Առաջարկություն - ՀՊՀ Տեսական մեջքաբանություն...



ძალიან გვენატრება, რაც ასე
ჩვენეულია. უმეტესად კი
უკმარისობის, დაუკმაყოფი-
ლებლობის, წყენს, გულის-
ტკივილის გრძნობა გვრჩე-
ბა ახალი ადამიანების გაკ-

ზე ვთქვათ, რაც აქაა, რისი
თვითმხილველნიც ვართ.

წელან ვთქვი, საოცარი
სითბო მოდის-მეთქ ამ ნა-
მუშევრებიდან, ამასაც რომ
თავი დავთანხმოთ, თითოეუ-
ლი მათგანი იძღანად მშევ-
ნიერია, იძღინა ამალლებუ-
* * *
ელისო ამერი-
კაში ჩამოსვლის
მიზანიც სხვა იყო,
ბევრი ჩვენგანის-
გან განსხვავდებუ-

*

ლისის ა მერი-
ა ჩაძოსვლის
ნიც სხვა ფო,
რი ჩვენგანის-
განსხვავებუ-
ძმედოვნებდა,
მის ქრო-ქრო,
ლაზე უფრო
ერებ, წლების
სილზე გულში
არებ და ამცე-
რებ უკვე კონკრე-
ტულსახმილებუ-
პროცეტის ხო-
მესხმას შეძ-
იდა აქაური მე-
მარებთ, რადგ
იდა, რომ ნგრევ
ბითა თუ ეკო-
უსჭირით წერ-
ებ მის ქვეყნა-
ექტებისათვის
თუმცა ეს არ

წვეთი სისხლისა ჩემში
არ არის არაქაროული!

არა თუ წვეთი
სისხლის,
ყოველი უკრედი
ჩემი სხეულის
და ჩემი სულის
არის ქართული.
ვარ მისი შვილი,
მისი მშობელი
და
თავად ვარ მამული

დუღი ერქვა... რადგან ელი-
სოს დახმარება სჭირდებო-
და, გვერდში დგომა სჭირ-
დებოდა.

* * *

მოგეხსენებათ, ჩვენთან
როგორ კარგად ვიციოთ ნი-
ჭიერი კაცის დაფასება, ხე-
ლის შეწყობა. მაგალითი-
სათვის შორს წასვლა არ
გვინდა. ვინ აღარ მიიღო შე-
მოქმედებითი სახელოსნო
თბილისში - მხატვარმა თუ
არამხატვარმა, შემოქმედე-
ბითმა მუშავმა თუ საერთოდ
ამ საქმისგან შორს მდგარ-

* * *

სახელმწიფო დაწესებულებებში არასოდეს უმუშავია. თავისუფალი შემოქმედი იყო. შესაბამისად - უფულო. ამიზომ აქაც თინას უნდა ემარჯვება, სულიერის გარდა მატერიალურიც საჭირო იყო. ისე, კერამიკული ნამუშევრები თინას ნახელავია, მათში უთუოდ იგრძნობა შემოქმედის ხელი. ვინ იცის, ამ გზით რომ წასულიყო მისი ცხოვრება, როგორ სიმაღლებამდე მივი-

ამერიკაში ცხოვრების ცოტა მნელ პერიოდში. მეგონა სხვა სამყაროში აღმოვჩნდით. მასალები ითახი პატარა საგამოცენო დარბაზს წააგავდა - მხატვრობა, მცირე ზომის უშესვენიერესი ქნდა კედები, კერამიკა და ფერლა ნაშუშვრები იყო რაღაც ისეთი, რომელიც სიმშვიდეს, რწმენას, სიმყარეს განერგავდა, სითბოს გაძლევდა (არ ვიცი, შეიძლება ძალიან ძვე-

ნობისას (რატომ? განა იმი-
ტომ, რომ ისინი ცუდები
არიან ჩვენგან განსხვავდით?
არა, ნამდვილდ არა, მაგრამ
ეს აღმატ სხვა საუბრის თე-
მაა.)

* * *

ლომლური ვარ, მაგრამ ზე-
ლოვნებასაგან მე სწორედ
ამგვარ შეგრძნებებს ველო-
დები). გაფთბი, მოვისიძლე
და დავრჩი ასე მოხიძლუ-
ლი დღემდე.

զամացած եռու առ մեջըմանլուր,
մուսաշպարժ զայլա լուշրու դա-
շուշոնցրնիտա, տվյալն նամշայ-
զարու հիմու ազածմպոյզու դյ-
ուս և սաբուլ ռոտակն գաճա-
զութիւն, բազագն մյ տայտոռն
ցանցուցուցու և սառցար Ֆեմոյ-
թեզօքան մուցանո. ցյաման առ
շմթպոյնա. դյամանու մար-
տուլպ ցամոցանմբուցըլու.

ელისოს ელიმება, ალბათ
კარგად უმჯურნალეს და
არც ბედისაგან იყო განწი-
რულით. იმ ქალს კი ასე
სკერა. მოდი და გადაჯე-
რე. ანდა რატომ უნდა გა-
დაჯერო, როცა... მეც მჯე-
რა. შეძლება სხვასაც (რო-
მელსაც ჯერ არ უთქვამს,
ან ჯერ უერ მიმზედარა).

რომ ვთქვა, საქართველოს
მის ცხოვრებაში განსაკუთ-
რებული აღილი უკავია-შე-
თქი, ეს იგივეა აღნათ, თით-
ქოს არაფერი მეტქვას. მთე-
ლი მისი ცხოვრება საქარ-

„თუ ეცავად მუდიდ მიყვარ-
დი, სამშობლოს როგორდაც
ზოგადად აღვიტვამდი, კრე-
ბითად, შენ კი პიროვნება ყო-
ფილხარ, კინ კრეტული, კვე-
ლაზე ძვირფასი და კველა-
ზე საყვარელი. ნუ დამჩრა-
სავ ჩემო, აკი მშობლები და
შეკილები კველას გვიყვარს,
მაგრამ ჩენი სიყვარულის
სიმსაფრე მაშინდა გამოჩნდე-
ბა ხოლმე, როცა რაიმე უჭი-
რო და თავადაც მაშინ ვაც-
ნობიერებთ, თუ რაოდენ გვიყ-
ვარს. ჰოდა, ნუ მიწყენ სიყ-
ვარულო ჩემო, ჩემი წარ-
სულო, აწმყოვ ჩემო და მო-
მავალო, დედვ და შვილო
ჩემო და ჩემოვე თავო. რა-
და დაგიმალო, მეგონა მთე-
ლი ჩემი სიყვარული ჩემს
საქმეს ეკუთვნოდა. თურმე
მთელი ჩემი სიყვარული, ჩემი
საქმეც და ჩემი ცხოვრებაც
მხოლოდ შენი ყოფილა, რად-
გან მხოლოდ შენით და შენ-
თვის მინდა ყოველი” (ელი-
სო წიგლოური).

დღოდა თინაც, მაგრამ მას ამი-
სათვის არასოდეს ეცალა.
მტერ-ძოყუკარეს პასუხის გა-
ცემა უნდოდა. ყველაფერიმა
ამან, ეტყობა გაამჭაცრა ცო-
ტათი თინა, პირში მთქმე-
ლის სახელი დაუგდო, ეკო-
ნომიტური ცხოვრება ასწავ-
ლა, ყველაფერის გათვლა, ყვე-
ლაფრის გათვალისწინება.
თუმცა დაკარიგებული თვა-
ლი ადვილად შეამჩნევს, რა
ხალას გული იძალება მკა-
ცრი ტონის მიღმა.

როცა მომავლის გეგმებზე, თავის კერჯერობით განუხორციელდებულ საინტერესო პროექტებზე საუკირისს ელისონ და ერთი შეხედვით ირეალურში დააბივებს, თინა უცებ დააბრუნებს ხოლმე მიწაზე და აქაც გაჯავრუბულ ტონში თუ ლაპარაკის კილოში მაინც თანამზრა ჩველის კვალს აღმოაჩნინ, რასაც არც თავმოწონება აკლია, არც იმ ირეალურის რწმენა.

* * *

და შემ უცხო ადამიანი
ადვილად ხვდები, რომ ამ
ოჯახის ტრადიციაა - სიახ-
ლისკენ სწრაფვა, ძირეული

ფასეულობების შემონახვა, გაჭირვებულისთვის ხელის გამართვა. თუნდაც სულ ახლანაა როი უძრეო ბარტყი რომ იპოვა ელისომ ქუჩაში (არც ჰამა და მით უფრო, არც ფრენა რომ იცოდნენ), აშკარა სიკედილს რომ გადაარჩინა და სახლში მოიყვანა, ერთი-ორი თვით შევფრთო როგორმეო. ოპ, პრობლემები გვაკლიათ, თქვა თინამ პირველად, მაგრამ შეძლებ ერთად იზრუებს სპეციალურ საკებბზე, საწოვარაზე, რითიც აშემევნ ხოლმე ყოველ სამ საათში ერთხელ, გაღიაზე, სადაც აძინებნ და ა.შ. დღეს უკვე მოზრდილები არიან ჩიტები, ცოტაც და გამოითხოვებიან ალბათ, გაუშვებენ, თავისუფლებას მისცემენ. თუმცა დანამდვილებით ვიცი, პრობლემების მიუხედავად ძალიან დაკლდებიან ისინი.

* * *

რაც ამერიკაშია, შემოქმედებითად ისეთი დატვირთვით ვერ მუშაობს ელისო, ისე თავისუფალი არცა, რა-
— 1 —

ბედნიერად ჩავთვლით თავს,
თუ ჩემი მონათხრობით ერ-
თი ადამიანი კიდევ შეემა-
ტება თქვენი ნაციონალის
წრეს. მერე როგორი ადა-
მიანი?! ბედნიერი ვიქენები
იმითაც, ჩვენი ყოველდღიუ-
რობის სირთულეებში ცო-
ტა ხნით მაინც უიმედობი-
სა და უილავჯობის განცდა
თუ მოგეხსნებათ, ცას თუ
შეხედავთ და სვალისას და-
იჯერებთ. მე დღეს თქვენ
მსატერი, მოქანდაკე ან პო-
ეტი კი არა, პიროვნება გა-
გაცნით, რომელიც აქ, ჩვენს
გვერდით ცხოვრობს. პიროვ-
ნება, რომელიც ყელას არ
ჰგავს, პიროვნება, რომლის
ცხოვრების წესიც განსხვა-
ვბეჭლია, სხვებისაგან გამორ-
ჩეული. ამ გამორჩეულობის
გამოა ალბათ, რომ ხშირად
შეახსენებენ - აქ, ჩემი ბა-
ტონი ამერიკა, უნდა იმუ-
შაო, თუ გინდა რომ თავი
გაიტანო. ვისაც როგორ
შეუძლია ისე გააქვს აქ თავი
(აქაც და სხვაგანაც). ზოგი
დღე და ღამე შრომის, რა-
ღაცას აგროვებს, რომ მალე
წავიდეს თავის ქვეყნაში,

ზაღებს ნიადაგს, ზოგი სისტემატურად აგზავნის ფულს სახლში, თავისიანებს ეხმარება, მათ უოლებს ყოველდღიურობას, თვითონ კი არის აქ გაურკვევლად და როდემდე იქნება, ისიც არ იცის. ყველას ღმერთმა ხელი მოუმართოს.

* * *

ელისო თავისებურად ცხოვრობს. მუშაობს კიდეც, ბევრი არ სჭირდება, მცირედითაც კამაფოგილია. სამაგიეროდ ფიქრის დრო აქვს, წერის დრო აქვს, მოკლედ, თავის თავს ეკუთვნის. ისე, წესითა და რიგით, ასეთ დიდ ხელოვანს ფულიც ბევრი უნდა ჰქონდეს, სახლიც დიდი, შემოქმედებითი სახლო-სნოც მოწყობილი, ყოფით საკითხებზე კი სხვა უნდა ზრუნავდეს, სპეციალურად ამ საქმისათვის მომზადებული, გინდა მენეჯერი დაარქვით, გინდა პროდიუსერი, ის უნდა აგვარებდეს გამოფენების მოწყობას, ნამუშევრების გაყიდვას. ასე აქვს აღბათ საქმე აწყობილი ყველა ნორმალური ქვეყნის

ოდესაშე ჩვენთვისაც, ჩვენი
მშვენიერი ქვეყნის ნიჭიერი
შეკილებისთვისაც. დღეს კი
შეუძლებელია ერთმა კაცმა
შედევრები შექმნა და მის
რეკლამაზეც, გავრცელება-
ზეც თვითონ იზრუნო. ამ-
გვარი შეთავსება ხომ უპირ-
ველესად ჩვენ გაჰლებს რა-
ღაცას, ჩვენ სულიერებას აპ-
ლებს.

„301-ე მე ვიქენგი დღეს
არაგველი...” - ამბობს პოეტი,
მოქანდაკე და მხატვა-
რი ელისონ წიგლაური და
მე მჯერა, რომ ეს მარტო
სიტყვები არაა.

გაზეთ „მამულის“ რე-
დაქტორმა დამირეკა და
მითხვა - ხვალ, ფილადე-
ლიუსაში ქართველი მსატ-
ვრების გამოყენა იხსნება,
თქვენც დაპატიჟებული
ხართ და უნდა წამობრ-
ძანდეთო.

წავედით. თან გერმანიდან ჩამოსული ქართველი უერთალისტი, ნინო ხაბულაშვილი გვახორა.

გზაზე დიდი საცობები
იყო და სამწუხაროდ გახ-
სნაზე დაგვაგვიანდა. იმე-
რული სტუმარ-მასპინძ-
ლობა გზიდანვე ვიგრძე-
ნით. სულ გვირეავდნენ,
გზას გეხსწავლიდნენ. ფი-
ლადელფიას რომ მივუ-
ახლოვდთ, გზაზე დაგეხვ-
დნენ და პირდაპირ გამო-
ფენაზე მიგვიყვანეს. საკ-
მაოდ გვიან იყო, მაგრამ
მასპინძლები მოთმინებით
გველოდნენ.

გზითა და საცობებით
გადაღლილები საგამოფე-
ნო დარბაზში რომ შევე-
დით, ისეთი გრძნობა დაგ-
ვეუფლა, თითქოს ფილა-
დელფის ნაცვლად საქარ-
თველოში ამოვყავით თა-
ვი. დარბაზში იმერული
პეტაჟები, ნაცნობი ფერე-
ბი, სითბოთი და სიყვარუ-
ლით გამობარი ქართული
სული დაგვჭვდა. გამოუწენა
პატარა, მშვენიერ დარბაზ-
ში იყო გამართული, რო-
მელიც უსახყიდლოდ და-
უძინეს მისა, მისაჭრინი-

ქართველი მუსიკის შემთხვევაში ებბა - ტატიანა და ალექს- სანდორ ბალახოვებბა. მათი მხრიდან ამ ნაბიჯის გა- დადგმა განსაკუთრებულად დასაგასტებელია, რად- გან ეს ჩვეულებრივი სა-

ამ განსხვავებული ხედვისა
და სტილის მხატვრებს, გა-
რდა საკუთარი პროფესიის
სიყვარულისა, საქართველოს
და კერძოდ, იმერეთის სიყ-
ვარული აერთიანებთ. და კი-
დევ, ჭოველ ნამუშევარში იგ-
რმნობოდა იმერელთავის
დამახასიათებელი დახვეწი-
ლობა და სიმსუქეები, რაც
განსაკუთრებულ ხიბლს სძე-
ნდა გამოიფენას. მოკლედ
რომ გითხრათ - ეს იყო
მშევნეობი იმერეთი.

კუნტალები არის ისიც ყველა
ძა და სულისხამდგმელი ვა-
სო იმერელი აღმოჩნდა, რომ-
ლის ნამდვილი გაკრი ვე-
როვს კა. მოგეხსენებათ, გა-
მოფენის მოწყობა ადვილი
საქმე როდა. მითუმეტეს, სა-

ქართველოდან ნამუშევრების ჩამოტანა, ჩარჩოებში ჩასმა, დარბაზის მოძებნა დიდ ღროსა და ხარჯებს მოთხოვს. მილიონერს ნამდვილად არა ჰგავდა და გაოცებულმა კითხები, ამდენი რამდენორ შესძლო? მთავარი მონძომებაა, კეთილ ხალხს ქვეწად რა დალევსო - მიპასუხა. ახლა ჩვენთან წავიდეთ, ყველაფერს იქ მოგიყენეთ და ზოგ მათგან-საც გაგაცნობთო. მადლობა გადავუხადეთ და წამოსვლა დავაპიროვ, ბალიან გვიან იყოდა უკან დიდი გზა გვერდა და გამოსავლელი, მაგრამ სწორედ მაშინ ვიგრძენით, რომ ნამდვილად იძერეთში ვიყენით, სადაც მისკლა შენინება... დიასახლისს სუფრა ჰქონდა გამლილი, სხვა სტუმრებიც მისულიყვნენ და ყველა ჩვენ გველოდა. მიუსვლელობა არ იქნებოდა და წავედით.

ვასოს პატარა, მყუდრო
ოვახში, რომელიც სახე
ლოსნოს უფრო ჰგვდა, ქარ-
თული სუფრა იყო გაშლი-
ლი. ვასომ სტუმრები გაგ-
ვაცნო: მისი მშვენიერი მე-
უღლე მაია, დარბაზის მე-
პატრონე წყვილი - ტატია-
ნა და ალექს ბალახოვები,
გაზეთის „ნავიგატორი“ რე-
დაქტორი - ოური ნაუმეკი,
საქართველოსადმი სითბო-
თი და სიყვარულით აღსავ-
სე უკრაინელი ქალბატონი
- ლორა მამოტი, აქვე იყო
ოური ლაგვილავა, პოეტი, ქუ-
თაისის პოლიტექნიკური
უნივერსიტეტის ლექტორი,
მშვიდი და თაგმადაბლი ქა-
ცი. ეს ის ხალხია, ვინც ყო-
ველმხრივ მხარში უდგას ვა-

სოს და ვისი თანადგომითაც
შესაძლებელი გახდა ამ გა-
მოფენის მოწყობა.

ვასო გარდა მხატვრობისა,
პოეტიც არის და როგორც
თავად ამბობს, თავის მხატ-
ვრობის პოეზიით აკებს. ღა-
მით მუშაობს, რომ დღე თა-
ვის საყვარელ საქმეს და-
უთმოს და ხატვის საშუა-
ლება ჰქონდეს. ვასოს კვე-
ლაზე დიდი დამხმარე და
მეგობარი მისი მეუღლე მა-
ია. მასის სანამ პირადად
გავიცნობდით, მისი პორტრე-
ტი მანქანის ნახატი არ არის

ტი გამოვეხნაჲ ვნახეთ, ინ-
დიელთა დედოფალივით მო-
რთული. ვასომ გვითხრა ჩე-
მი მუღლე მაის ტომიდან
არისო. თურმე, ეს იუმორი
მისი სახელიდან მომდინა-
რეობდა. ვასომ ამაყად გვი-
თხრა - მაი ჩემი მუშაა და
მხოლოდ შეთავსებით არი-
სო მეუღლე. იშვიათად მი-
ნახავს ასეთი მოყვარული
ცოლქმარი, ასე რომ ესმო-

A black and white photograph of a man with short hair and sunglasses, wearing a dark jacket, standing in front of a wall mural. The mural depicts a landscape with buildings and two large, stylized, handwritten-style text elements: 'იმპერიუმი' (Imperium) and 'ფილოსოფოსი' (Philosophus).

ლი რახმანს. მხოლოდ ერთზე სწყდება გული, ქართველები ნაკლებად აქტიურობენ, სხვები უფრო მეტ ყურადღებასა და ინტერესს იჩენნო. ღმერთი უშველის ამ ხალხს, ცოდნები არაანბიჭები, თბილისში კიდევ რა უჭირთ მხატვრებს, ქუჩაში მაინც გაიტანენ და რაღაცას გაყიდიან, ქუთასში რა უნდა ქნაონ? იმასაც ცდილობს, როგორმე ქარგ ფა-

იშვიათად თბილი და
უშეალო საღამო გამო-
ვიდა. სტუმრებიც და მას-
პინძლებიც ისეთი ნასია-
მოვნები ვიყავით, ნამდვი-
ლად ღირდა ამხელა გზის
გავლად. უაღრესად მად-
ლობელნი ვიყავით მათი
იმ თავდადების, სითბოსა
და სიკეთისუფის ასე უშე-
რველად რომ გასცემჩ. ისინი კი ჩვენი მადლი-
ერნი იყვნენ, რომ ჩავე-

შუაღამე კარგა ზნის
გადასული იყო მასპინ-
ძლებს რომ დავიშვიდო-
ბეთ. 2 ანგარი იდგა, ბე-
დობა დღე. გავიფიქრო -
ღმერთმა სულ ასეთი კე-
თოლშიბილი, უანგარო სა-
ქმების კეთება და ასეთი
სასიამოვნო ურთიერთო-
ბები დავგაბედოს ჩვენც,
ჩვენს მასპინძლებსაც და
ყველას უკლებლივ.

იშვიათად რეგბია ისეთი დიდი სიყვარული და აღიარება ქართული კინოს ისტორიაში ფილმს, როგორიც „ფესვებს“ ერგო. მაშინ, დაახლოებით 15-17 წლის წინ, თთოეული ჩვენგანი თვალცრუმლიანი ვტოვებდით კინო-დარბაზებს და საუკუნის დასაწყისში ქართულ ფესვებს მოწყვეტილი ქართველების ბედს მივსტიროდით და ვერავის წარმოგვედგინა წლების შემდეგ საკუთარი თავი იგივე ყოფაში, როგორშიც ფილმის მთავარ გმირს დოლო აბაძიძეს კუჭურებდით. დღეს კი, საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონის გამო ჩვენი თანამემამულების დიდ ნაწილს სწორედ ისევე ენატრებათ, როგორც ენატრებოდათ გასული საუკუნის დასაწყისში გადახვეწილ ქართველებს, რომელთაც ერთადერთი იმედი, ფესვებთან დაბრუნება ასულდებულებდათ.

კომუნისტური რეჟიმის დროს კი ამ თემაზე საუბარიც საშიში იყო. მიუხედავად ამისა, შესანიშნავმა ქართველმა რეჟისორმა გუგული მგელაძემ, რომელსაც მანამდე გადაღებული პქონ-და ისეთი ცნობილი ფილმები, როგორებიცაა „ბურთი და მოედანი“, „ბოლიში თქვენ გელით სიკვდილი“ და სხვა, გადაიღო ფილმი, რომლის თემაზიკაც საოცრად აქტუალურია დღესაც, ახალი საუკუნის დასაწყისში, თუ როგორ მოახერხა ფილმის რეჟისორმა გუგული მგელაძემ მისი გადაღება, როგორი იყო მასზე მუშაობის პროცესი და რა გეგმები აქვს მომავალში, მან სპეციალურად „მამულისთვის“ კორესპონდენტი ინგა ვაშაყმაძესთან სიამოვნებით ისაუბრა.

- ბატონი გუგული, რა ედო საფუძლად „ფესვების“ გამოსვლას?

- მე დაინტერესებული ვიყვავი ფილმი გადამეღო ექვთიმე თაყაიშვილზე, მაგრამ კომუნისტების დროს ექვთიმე მიღებული თემა არ იყო, ამიტომაც ცოტა მოგვიანებით, როცა სცენარისტმა სულიკო ქლებრთმა „ფესვების“ სცენარი წამაკითხა, კბილებით ჩავეჭიდე და მიუხედავად მოსკოვდან და დიდი წინააღმდეგობისა, მაიც გადავიდე.

- ამ ფილმის წარმატება დოდო აბაშიძის ფიგურამაც მნიშვნელოვნად გაზარდა, როგორი იყო გადასაღებ მოედანზე და რა კურიოზები ახლდა „ფესვების“ გადაღებას?

- დოდო აბაშიძე ჩემი საყვარელი მსახოობი იყო, ამიტომაც როცა ფილმის გადაღება გადავწყვიტე, სხვისი ძებნა არც დამიწყია, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში უკვე ავადმყოფობდა და თავს ხშირად გრძნობდა შეუძლოდ. მასივს, პარიზში ვიღებდით სცენას, როცა შვილიშვილთან ერთად მანქანით მოდის და ქართულად მღერიან, დოდო იძენად ცუდად იყო, განაცხადა, მანქანით პარიზის ქუჩაში გასვლას და სიმღერას ვერ შეძლებო, მაშინ ჩვენი გამნათებული მივიდა მასთან და უთხარა, „დოდოჯან, არა გრცხვენა? ჩვენ სამშობლოზე ფილმს ვიღებთ და შენ ქუჩაში გასვლის გეშინაორ?“ მაშინ იგი ჩქარა ჩაჯდა მანქანში და ეს კადრი ყველაზე შთაბეჭდავ სცენად დარჩა ამ ფილმში.

სამწუხაროდ ბატონი დოდო ამ ფილმის ეკრანზე გასვლას ვერ მოესწრო და სწორედ იმ დროს გარდაიცვალა საავადყოფში, როცა ამ ფილმის პრემიერა გადიოდა კინოს სახლში.

- ბატონი გუგული, სადაა თავად თქვენი ფესვები და კინოს სამყაროსთან თქვენი ზარება როგორ მოხდა?

- ჩემი ფესვებიც გურიაშია, სწორედ იქ, სადაც ჩემი გმირის ფისვები იყო. რაც შექება კინოში მოსვლას, ამისოვის ყველა საჭირო ეტაპი გავიარე. თუმცა ბავშვობაშიც რამდენიმე ფილმში მომიწია გადაღება: „ქავენა“, „გორგი სააკაბე“, „ჭრილინა“, სკოლის დამთავრების შემდეგ კი ჩავაბარე მოსკოვის კინოს ინსტი-

ტუტში, სადაც სადიპლომო ფილმმანი შევისავად „ფესვების“ გადაღებული პქონ-და ისეთი ცნობილი ფილმები, როგორებიცაა „ბურთი და მოედანი“, „ბოლიში თქვენ გელით სიკვდილი“ და სხვა, გადაიღო ფილმი, რომლის თემაზიკაც საოცრად აქტუალურია დღესაც, ახალი საუკუნის დასაწყისში, თუ როგორ მოახერხა ფილმის რეჟისორმა გუგული მგელაძემ მისი გადაღება, როგორი იყო მასზე მუშაობის პროცესი და რა გეგმები აქვს მომავალში, მან სპეციალურად „მამულისთვის“ კორესპონდენტი ინგა ვაშაყმაძესთან სიამოვნებით ისაუბრა.

- როგორი იყო თქვენი პროფესიისადმი თქვენი ოჯახის წევრების დამოკიდებულება და როგორ აღიქვამდინ წარმატებებს?

- რა თქმა უნდა ძალიან ახარებდათ წარმატებები და ხელს მიწყობდნენ როგორც შეეძლოთ, მაგრამ არ შემიძლია არ გავიხსნო ერთი ფაქტი, რომელიც გულში ჩამრჩა მწარედ.

ჩემი სიმამრი გახლდათ დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პავლე ინგოროვა, რომელიც ერთ დღეს სახლში გახარებული დაბრუნდა და მოაწვევი მაჩვენა, რომელშიც ეწერა, რომ იგი მიწყეული იყო გურიაში ღონისძიებზე, რომელიც სახელოვანი გურულების შეკრებას ისახავდა მიზნად. მასივს მთელი დღე გახარებული და აღვიროთვანებული დადიოდა, რომ შმობლიურმა კუთხებ სახელოვან ადამიანად მიიჩნია და მიიწვია.


მეორე დღეს იგივე შინაარსის მოსაწვევი მეც მომართვეს. მივედი სახლში გახარებული და ვაჩვენე ჩემს სიმამრს, - პავლე ინგოროვას, დახედა მან და ჩემი სახელი და გვარიც რომ სახელოვანი გურულების რიცხვში წაიკითხა, ჩადო უჯრაში თავისი მოსაწვევი შემდეგი სიტყვებით - „მე თუ შენზე სახელოვანი არ ვარ, მაშინ მე არ მოვდივარო.“ მაშინ „ფესვები“ არ მქონდა გადაღებული, თორემ ამას, დარწმუნებული ვარ, ნამდვილად ვერ გამიღებავდა.

- „ფესვების“ შემდეგ როგორი იყო საზოგადოების რეაქცია თქვენს მიმართ?

- ინსპექტორები ძალიან მწყლობდნენ, თანაც უკვე სერიოზულ რეჟისორად აღმიქვეს, მაგრამ მერე მალე დაინგრა ეს ქვეყანა და სწორედ მაშინ, როცა კინოს გადაღება ვისწავლე და დიდი გამოცდილება შევიძინე, გახერდა სამწუხაროდ ჩვენი კინო. სხვათა შორის, მე მინახავს რომ კინოდარბაზებში ფილმის ფილმებიდან გარეთ გამოდიოდა მაყურებელი, „ფესვებიდან“ კი, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, მა-

ურებელი არ გამოსულა. ამჟამად კი იმის გამო, რომ ფილმებს ვეღარ ვიღებ, ლექსების წერა და ვიწყე, გამოვუშვი 4 წიგნი და კამყოფილი ვარ იმით, რომ მაინც მუზას ვემსახურები. პრობლემებით სავსე ცხოვრებისათვის შემოქმედებითი წვა მაღლებინებს.

უსურვებ ქართულ ფესვებს მოწყვეტილ ქართველებს ვაჟა-ცურად ვაუდლონ ცხოვრების ამ მიმებ პერიოდს და საბოლოოდ საკუთარ ფესვებს დაუბრუნდნენ, რათა მათმა შთამომავლებმა საქართველოს ისტორია ზღაპრად არ მოისმინონ.




დოდო „ფესვების“ ქართველი გასვლას კუთხის მოქსწოთ



მამული კულტურული

საღამო
თამარ გვერდითელთან
ერთად
27 თებერვალს, საღამოს 7 საათზე
თეატრი „მილენიუმი“
1029 Brighton Beach ave
Brooklyn, NY 11235
718-615-1500
ბილეთის ფასი \$25-დან \$65-მდე



საკეთებელი



ევო უშენებელი - ეს ეპოქა
შეხვედრა ეგვენი ეპტუშენკოსთან
16 აპრილს, დღის 2 საათზე
თეატრი „მილენიუმი“
1029 Brighton Beach ave
Brooklyn, NY 11235
718-615-1500

კულტურა

მლერის
ირინა პლეგროვა
3-4 ივნისს, საღამოს 8 საათზე
თეატრი „მილენიუმი“
1029 Brighton Beach ave
Brooklyn, NY 11235
718-615-1500



რომანტიული გასეირნება
საკამიონ ბუშტით
სანგრძლივობა 1 საათი.
შეის ამოსვლამდე ან ჩასვლამდე
1 საათით ადრე, ვიღეოსრულისით
1-800-462-3201
ბილ.ფასი: \$165, \$195



იურმალა
ამერიკაში
7 მაისს, საღამოს 7 საათზე
Casino TAJ MAHAL
Atlantic City, NJ
718- 615- 1515



ცენტრალი


ჯორჯ ბალანჩინის
შემოქმედებითი პროგრამა
ეწვეთ ვებ-გვერდს
www.nycballet.com

NYC Ballet Theatre
New York State Theatre
65th st at Columbus ave.
212-870-5570

ბილეთის ფასი: \$18-დან \$90-მდე



EAGLES
8 აპრილს,
საღამოს 8 საათზე
Continental Arena
Route 3West
East Rutherford, NJ



გასველი

მითითებული მხოლოდ ის იორჯის დღი

გილეათების შემანა შეგიძლიათ ინტერნეტით: www.ticketmaster.com, www.russianny.com